# გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში

# აქტიური გენდერული დღეები

## ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტი

2013 წლის 1 სექტემბერს ფონდმა „სოხუმმა“ მუშაობა დაიწყო პროექტზე „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალის როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისათვის“. პროექტი მიზნად ისახავდა გენდერული მიმართულებით აქტიურ მუშაობას, თვითმმართველობებთან თანამშრომლობით გენდერული ასპექტების დამკვიდრებას ადგილობრივ ბიუჯეტში. პროექტმა მუშაობა სამ ქალაქში დაიწყო და შესაბამისად შეიქმნა სამი გენდერული საკონსულტაციო საბჭო ქუთაისში, სენაკში და ოზურგეთში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდი. პარალელურად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა გენდერული საკონსულტაციო საბჭო ბათუმში.

ქუთაისის საბჭოში 19 ადამიანია: ქუთაისის საკრებულოს 8 წევრი, მერიის 3 წარმომადგენელი, 7 სამოქალაქო აქტივისტი, მედიის ერთი წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარეა ირმა პეტრიაშვილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

2015 წელს გენდერული საბჭო დარეგისტრირდა როგორც გაერთიანება და დამოუკიდებლად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტების განხორციელება.

ქუთაისის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით განხორციელდა 4 პროექტი.

ერთ-ერთი მათგანია „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში“ (პროექტის კოორდინატორი - ნატალია თოდუა, ასისტენტი - თეონა გოგიშვილი).

## პროექტის ფარგლებში

### 21 აპრილს

გაიმართა რეგიონალური კონფერენცია თემაზე „გენდერული კომპონენტები ადგილობრივ ბიუჯეტში - არსებული რეალობა, პოზიტიური ცვლილებები, მომავლის პერსპექტივები“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს 17 მუნიციპალიტეტის - ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოს, ხონის, ვანის, სამტრედიის, ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, უნივერსიტეტების რექტორები, პროფესორები, სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები.

კონფერენციის პირველ ნაწილში ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წარმომადგენლებმა ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით გენდერული მიმართულებით მიღებულ შედეგებზე და გამოცდილებაზე ისაუბრეს.

კონფერენციის მეორე ნაწილში მომხსენებლებმა თანასწორობის თემა სხვადასხვა კონტექსტში განიხილეს.

## 13 მაისს

ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი სტუდენტებთან. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაციები გენდერული თანასწორობის საკითხებზე; გაეცნენ ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურას, პრიორიტეტებს; გაიაზრეს, რამდენად ეფექტურია სტუდენტების ჩართულობა რეკომენდაციების მომზადებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას.

ტრენინგში მონაწილეობდა 21 სტუდენტი - ქუთაისის სამი უნივერსიტეტიდან (წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის კორპუსი). გენდერული თემების გარდა, მათ ჩაუტარდათ მასტერ-კლასი ტრენერული უნარ-ჩვევების, ვორკშოპის ტექნიკაზე, იმუშავეს ვორკშოპების სანიმუშო მოდულზე.

ტრენინგის შედეგად - გაჩნდა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდა მწვრთნელთა გუნდი.

## 15 მაისიდან 30 მაისამდე

21 ახალგაზრდა მწვრთნელმა ჩაატარა 3-3 ვორკშოპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის კორპუსში. სულ ჩატარდა 63 ვორკშოპი, მონაწილეობდა 800-ზე მეტი სტუდენტი.

როგორც ანგარიშებში აისახა, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო თანატოლებთან მუშაობა. გაირკვა, რომ სტუდენტებს შორის გენდერის საკითხების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, რაც ინფორმირების დეფიციტით არის გამოწვეული.

ვორკშოპებზე განსაკუთრებული ინტერესით იმუშავეს მონაწილეებმა სტუდენტურ საჭიროებებზე, რომელთა შორის გამოიკვეთა:

- საერთო საცხოვრებელი რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის
- შეღავათები სწავლის გადასახადზე
- აუდიტორიების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით
- შეღავათები ტრანსპორტზე, სამგზავრო ბარათების შემოღება
- ნახევარგანაკვეთიანი სამსახური
- სტუდფუდები
- კინოთეატრი და შეღავათები კინოსა და თეატრის ბილეთებზე
- გასართობი ცენტრები (ბოულინგი, სკეიტბორდის მოედნის მოწყობა)
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა გვიანამდე
- სტუდენტური ბანაკების ორგანიზება
- გარემოს ადაპტირება ყველა სტუდენტისთვის
- ბიბლიოთეკების განახლება
- თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან სტუდენტების მხარდაჭერისა და დასაქმებისათვის
- პრაქტიკები სტუდენტებისთვის
- სტაჟირების და გაცვლითი პროგრამები
- სტუდენტების სამოქალაქო ჩართულობა

## 24 ივნისს

ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი გენდერულ პრიზმაში - სტუდენტური მიდგომები, პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმები“.

მოხსენებებში სტუდენტებმა სხვადასხვა მიმართულებით არსებულ გენდერულ დისკრიმინაციაზე გააკეთეს აქცენტი: კვოტების სისტემა, საპენსიო ასაკი, დისბალანსი ქართულ პოლიტიკაში, ოჯახში ძალადობის პრობლემა.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, უნივერსიტეტის ლექტორები...

კონფერენცია დისკუსიით გაგრძელდა. მონაწილეთა აზრით, გენდერული თემით სტუდენტების დაინტერესება მნიშვნელოვანია, რათა ის საკითხები, რომლებიც დღეს ასე მწვავედ დგას ჩვენს საზოგადოებაში, ახალგაზრდებისთვის პრიორიტეტული იყოს. სწორედ ახალგაზრდების აქტიურობითა და მათი ჩართულობით არის შესაძლებელი გენდერული კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

# ქუთაისის გენდერული გამოცდილება

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს
თავმჯდომარე - ირმა პეტრიაშვილი

გენდერული მიმართულებით სერიოზული ცვლილების მოსახდენად სამწლიანი ისტორია არცთუ ისე დიდი დროა. თუმცა ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ შეძლო გარკვეული ცვლილებების დაწყება, რაც იძლევა გარანტიას, რომ პროცესი ასეთივე ინტენსივობით გაგრძელდება და უფრო მეტ პოზიტიურ შედეგს მივიღებთ გენდერული თანასწორობის დამკვიდრების კუთხით.

გენდერული საბჭოს მუშაობას თან ახლავს ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერის გარეშე მუშაობა შეუძლებელიც კი იქნებოდა. შედეგად: პრიორიტეტი, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების დანერგვას გულისხმობს, უკვე სახეზეა. ქუთაისის ბიუჯეტი ყოველთვის იყო ორიენტირებული სოციალურ საკითხებზე, რაც, თავისთავად, გენდერულ თემატიკას გულისხმობს. მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოებას.

საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციაა, ამ ფონზე გენდერული საბჭოების მუშაობა მნიშვნელოვანია. პრევენციული ღონისძიებები სხვადასხვა საკითხს მოიცავს. შეიძლება ითქვას, პირველი კვალი გაგვყავს ამ მიმართულებით. მთავარია, საზოგადოებამ სწორად მიიღოს ჩვენი სიგნალი. ის, რაც კეთდება გენდერული კუთხით, მიმართულია იქითკენ, რომ, პირველ რიგში, ქალი და მისი ოჯახი იყოს დაცული, შევქმნათ თანასწორუფლებიანი საზოგადოება.

თანამშრომლობისა და მხარდაჭერის დასტურია ქუთაისის მერიასთან თანადაფინანსებით შექმნილი პროექტები. ამ პროექტებით ჩვენ მოვახერხეთ გენდერული ასპექტების შეტანა სხვადასხვა სფეროში.

„ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“ - ეს იყო სასტარტო პროექტი საბჭოს ისტორიში, რომლითაც შევეცადეთ სპორტული მიმართულებით თანაბარი შესაძლებლობების აუცილებლობა დაგვენახებინა საზოგადოებისთვის. ეს იყო სიგნალი იმისა, რომ დემოკრატია, პირველ რიგში, გულისხმობს დისკრიმინაციის არარსებობას და ეს უნდა ჩანდეს ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, რათა ადამიანს ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

„საზაფხულო ბანაკი მოზარდებისათვის“ ასევე საინტერესო პროექტი იყო. მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდებთან ურთიერთობა, გენდერული მიმართულებით პროპაგანდის გაწევა პოზიტიურად იმოქმედებს საზოგადოების ცნობიერებაზე. აუცილებელია მოზარდები მომზადდნენ ისეთი აზროვნებით, რომ სწორად ესმოდეთ თანასწორობის თემა და ის პრობლემები, რომლებიც დღევანდელი საზოგადოების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, ხვალინდელ საზოგადოებაში ნაკლებად პრიორიტეტული იყოს.

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო აქტიურ ფაზაშია. განხორციელდა სამთვიანი პროექტი „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ფორმირებაში“. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების, სტუდენტების აქტიურ ჩართვას ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში.

ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის შესაქმნელად მთავარი სამიზნე უნდა გახდეს ახალგაზრდობა, რათა მათი ცნობიერება სწორი მიმართულებით განვითარდეს და დაინახონ ქვეყნის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობა.

პროექტმა პროპაგანდა გაუწია ადგილობრივ დონეზე გენდერული საჭიროებების განხორციელების აუცილებლობას, წარმოაჩინა ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების დამკვიდრებით მიღებულ პოზიტიური შედეგები.

საბჭო მუშაობს ახალ პროექტზე „გენდერული ცნობიერების ფორმირება სკოლამდელი ასაკის მოზარდებში“. თოჯინების ჩრდილების თეატრით პროექტი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გენდერული ცნობიერების ფორმირებას, დაეხმარება საბავშვო ბაღების პედაგოგებსა და მშობლებს, იაზროვნონ გენდერულად, დაამსხვრიონ სტერეოტიპები და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები თანასწორუფლებიანი საზოგადოების შესაქმნელად.

გარდა ერთობლივი პროექტებისა, საბჭო ყოველწლიურად კვლევებს ატარებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან. იმის გასარკვევად, თუ რა პრობლემები აქვთ ქალებს გენდერული კუთხით, რა საჭიროებებს გრძნობენ, რა არის მათთვის პრიორიტეტული. ამ საკითხების ანალიზით ირკვევა, რა მიმართულებით არის მუშაობის გაგრძელება აუცილებელი, სად არის ჩავარდნები და რა ტიპის მექანიზმები შეიძლება გამოვიყენოთ.

სწორედ ამ კვლევების საფუძველზე საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას წარედგინა 2016 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. თანამშრომლობა და მხარდაჭერა პრაქტიკულად განხორციელდა: რეკომენდაციების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა. მათ შორისაა საგანმანათლებლო ტრენინგები, ტელეგადაცემები, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ქალების დახმარებები - ეს საკითხები პირდაპირ ეხმიანება ჩვენს საზოგადოებაში გენდერული კუთხით არსებულ საჭიროებებს.

ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტი ბევრად უფრო სენსიტიურია, ვიდრე წინა წლებში და ამაში გენდერული საკონსულტაციო საბჭო საკუთარი მუშაობის შედეგებსაც ხედავს. ბუნებრივია, ყველა პრობლემა ერთდროულად ვერ მოგვარდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამოიკვეთა გზა, მიმართულება, რომელსაც თანასაწორობის დამკვიდრებისკენ მივყავართ.

# ბათუმის გენდერული გამოცდილება

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს
თავმჯდომარე - ნინო ბერიძე

ბათუმის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ გააერთიანა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი, მათ შორის თვითმმართველობის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ან - უბრალოდ - აქტიური და ქალაქზე, მის მოქალაქეებზე გულშემატკივარი ადამიანები, რომლებიც სრულიად უანგაროდ ცდილობდნენ, საკუთარი წვლილი შეეტანათ ადგილობრივი რესურსების უფრო მიზნობრივი, სამართლიანი განაწილების, სოციალური თანასწორობის, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრინციპის დანერგვაში.

საბჭოს წინაშე თავიდანვე იდგა ამოცანა, მომხდარიყო ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა, მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტის ლობირება ადგილობრივ დონეზე.

ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის საჭიროებები, რომელთა ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად შემუშავდა და თვითმმართველობას წარედგინა სამოცამდე წინადადება და რეკომენდაცია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაწყვეტაში თვითმმართველობის ჩართვის კუთხით გაწეული საქმიანობა: საინფორმაციო შეხვედრები გამგებლებთან ძალადობაზე რეაგირებისთვის - შსს აჭარის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად. ამ შეხვედრების შედეგად მათთან უშუალო თანამშრომლობით განხორციელდა კონკრეტული შემთხვევების მართვის საერთო ღონისძიებები მსხვერპლთა დასახმარებლად, გაიმართა ტრენინგები.

საბჭომ ითავა გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დამკვიდრების ხელშეწყობა: ამისთვის ჩატარდა ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, როგორია თვითმმართველობის ხარჯების „გენდერული წილი“- განათლებაში, ჯანმრთელობის და სოციალურ დაცვაში, რამდენად სამართლიანად არის განაწილებული საბიუჯეტო რესურსები მოქალაქეთა ჯგუფების საჭიროებების მიხედვით, რამდენად ეფექტურია არსებული პროგრამები და როგორ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

საბჭოს მიღწევაა ადგილობრივი გენდერული

პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად განიხილებოდა და სამომავლოდ, საფუძვლად დაედება თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის სამოქმედო გეგმას.

გენდერულმა საბჭომ დანერგა მჭიდრო თანამშრომლობა მედიასთან. ხშირი იყო რადიოგადაცემები რადიო „თავისუფლების“ გენდერულ ამბებში, ტელეგადაცემები, ტელესიუჟეტები ტელეკომპანია „აჭარას“, „25-ე არხის“ ეთერში - საზოგადოებისათვის არაძალადობრივი კულტურის, გენდერული საკითხების სწორად აღქმის, საბჭოს დღის წესრიგში დამდგარი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო ინფორმირებისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბათუმის თვითმმართველობის ხელმძღვანელობის გამოკვეთილი პოლიტიკური ნება საბჭოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. საკრებულოს თავმჯდომარის და მერის გენდერული მრჩევლები, მერის მრჩეველი შშმ პირთა საკითხებში - საბჭოს წევრები და არაერთი ინიციატივის ავტორები არიან. მათი ინიციატივით განხორციელდა ტრენინგების სერია საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებთან, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს მიმართ გამოხატული ნდობის დადასტურება იყო მერიის მხრიდან საბჭოს მიერ წარდგენილი პროექტების თანადაფინანსება ფონდ „სოხუმთან“ ერთად. პროექტები ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების, არაძალადობრივი და ჯანსაღი კომუნიკაციების, სკოლამდელი განათლების სერვისის ხელშეწყობისკენ იყო მიმართული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოლო პროექტი, რომელიც ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით განხორციელდა მოზარდთა სანიტარულ-ჰიგიენური და სქესობრივი აღზრდის კულტურის დანერგვისთვის. ამ პროექტში მაქსიმალურად ჩაერთნენ ქალაქის პროფესიული წრეები, ინტელიგენცია. უკვე ჩატარდა პრეზენტაციების ციკლი, სადაც გამოითქვა უდიდესი მადლიერება ფონდი „სოხუმის“ მიმართ, რადგან მან საშუალება მოგვცა, დღის სინათლე ეხილა მეთოდურ სახელმძღვანელოს „ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საფუძვლები“, რომელიც ერთნაირად პოზიტიურად შეაფასეს ახალგაზრდებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა, ექიმებმა თუ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელებმა.

საბჭოს ინიციატივა იყო სკოლამდელი განათლების სერვისის დახვეწისთვის სკოლამდელ დაწესებულებებში ფსიქოლოგების, ლოგოპედების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომლის საფუძველზე აიპის 25 000 ლარი გამოეყო ამ კუთხით შესასრულებელი საქმიანობისათვის, ასევე - თანხის გაზრდა სამოქალაქო ინიციატივების კონკურსის დაფინანსებისათვის, რაც მერიამ დააკმაყოფილა. გარდა ამისა, ბიუჯეტში შეტანილი სიახლეები - ახალგაზრდების სტაჟირებასთან, სასტიპენდიო პროგრამებთან დაკავშირებით, სოციალურად საშიში დაავადებების მკურნალობის და პრევენციის საკითხებზე, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, სოციალური პაკეტების გაზრდის კუთხით და ა.შ, გარკვეულწილად უკავშირდება რეკომენდაციებს, რომლებიც საბჭოს მიერ ექსპერტების, დარგის სპეციალისტების პოზიციებზე დაყრდნობით იქნა გაკეთებული.

ყველაზე მთავარი, რაც არა მარტო ბათუმის, არამედ ყველა საბჭოს დამსახურებაა - საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების პრაქტიკა, რომლებიც საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში მოქმედებდა, საფუძვლად დაედო საკანონმდებლო ინიციატივას ამ რგოლის ინსტიტუციონალიზაციის თაობაზე.

პირველი პრეცედენტი საკრებულოში გენდერული საბჭოს შექმნისა სწორედ ბათუმში მოხდა და მას დახვდა კარგი საფუძველი იმისათვის, რომ გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები გენდერული სამართლიანობის პრინციპების, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკისათვის.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ის საუკეთესო გამოცდილება, რომელიც აქვთ ფონდი „სოხუმის“ მიერ 4 ქალაქში დაფუძნებულ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს, გამოყენებული იქნება სხვა მუნიციპალიტეტების მიერ და მოხდება არსებული გამოცდილების გაზიარება.

# სენაკის გენდერული გამოცდილება

## სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ნანა ალანია

ქალთა საჭიროებების წინ წამოწევა და ადვოკატირება, ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული კომპონენტების დანერგვა - ეს ის საკითხებია, რომლებიც საბჭოს საქმიანობაში ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით სენაკის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ ბევრი რამ უკვე გააკეთა, მაგრამ მომავალშიც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საბჭოში ჩართულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მოტივირებული ადამიანები, რაც მეტი პოზიტიური შედეგის გარანტიას იძლევა.

ყოველწლიურად საბჭოს წევრები ატარებენ ადგილობრივი გენდერული საჭიროებების კვლევას - რა პრობლემები აქვთ ქალებს გენდერული კუთხით, რა არის მათთვის უფრო მნიშვნელოვანი. კვლევის ანალიზი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, რა კუთხით არის საჭირო მუშაობა. ამ კვლევებზე დაყრდნობით საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას წარედგინა 2015 და 2016 წლების ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით. ბოლო კვლევის შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები ახალი, 2017 წლის ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი მხარდაჭერილ იქნა საკრებულოსა და გამგეობის მხრიდან.

მოხდა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, რაც აისახა შემდეგ სოციალურ პროგრამებში:

ონკოლოგიური ავადმყოფების ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება წელიწადში ორჯერ, ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პირობების შესაბამისად.

ც ჰეპატიტით დაავადებულთა პირებს ც ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის დიაგნოსტირებისთვის აუცილებელი კვლევების თანადაფინანსებისათვის დახმარება 150 ლარით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - ცერებრალური დამ-

ბლით, დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებულ მოზარდებზე წელიწადში ორჯერ გაიცემა 100 ლარი (50 ბენეფიციარი), რომლის ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები, მათი პროფილაქტიკური გამოკვლევები გავრცელებულ პათოლოგიებზე ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია, სქოლიოზი...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წელს მიღებული ძალადობის მსხვერპლთათვის ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ფარგლებში. ეს არის პირველი პრეცედენტი სენაკის მუნიციპალიტეტში.

აქტუალური საკითხების ასახვამ ბევრად უფრო გენდერულად სენსიტიური გახადა სენაკის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით. ეს ის საკითხებია, რომლებიც პირდაპირ ასახავს საზოგადოების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ მოგვარებას.

სენაკის ადგილობრივი ხელისუფლება მხარს უჭერს გენდერული საბჭოს მუშაობას. ამის დასტურია სენაკის ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებით განხორციელებული გენდერული საბჭოს პროექტები.

პირველი პროექტით საბჭომ მოიცვა სენაკის ათი ბაგა-ბაღი, სადაც ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი სამუშაო განხორციელდა პედაგოგებთან და ახალგაზრდა მშობლებთან გენდერის, ოჯახში ძალადობისა და ეკო-სანიტარიის თემებზე. ეს პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მიღებული ცოდნა პედაგოგებმა და მშობლებმა სწორად გამოიყენონ ბავშვების აღზრდის პროცესში, ჩაუნერგონ სწორი მიდგომები და ფასეულობები, რათა მათ მომავალ ოჯახებში და მთელ საზოგადოებაში იყოს არაძალადობრივი გარემო და ჰარმონია.

საბჭოს ინიციატივით და ფონდი „სოხუმისა“ და ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებით განხორციელდა ასევე საგანმანათლებლო ტრენინგები გამგეობის თანამშრომლებისთვის, გამგებლის წარმომადგენლების, მაჟორიტარი დეპუტატებისა და ახალგაზრდული ჯგუფებისთვის.

საბჭომ განახორციელა პროექტი „ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტში“ - ეს იყო მუშაობა 14 ტერიტორიულ ერთეულში. პროექტმა მოიცვა 50-მდე სოფელი. სენაკის საკრებულოს თანადაფინანსებით პროექტის ფარგლებში ყველა ტერიტორიულ ერთეულში შეიქმნა გენდერული საინიციატივო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ გამგებლის წარმომადგენლები, მაჟორიტარი დეპუტატები, პედაგოგები, ექიმები, აქტიური ქალები და ახალგაზრდები. ჯგუფებმა გაიარეს სპეციალური საგანმანათლებლო ვორკშოპები გენდერისა და ძალადობის თემებზე, შეიმუშავეს რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად. პროექტმა გაითვალისწინა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართვა. მათ დამოუკიდებლად ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან, აამაღლეს მათი ცოდნა და ინფორმირებულობა.

ის, რაც კეთდება, ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს გენდერული კუთხით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იყოს გენდერული, სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ოჯახის მეტ დაცვას, თანასწორუფლებიანი და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

# ოზურგეთის გენდერული გამოცდილება

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო
საბჭოს თავმჯდომარე - ლელა ნაცვალაძე

ოზურგეთში გენდერული საკონსულტაციო საბჭო 2013 წლის სექტემბერში დაარსდა ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით.

დღეს აბსოლუტურად საფუძვლიანად ვამაყობთ, რომ ეს საბჭო არსებობს.

ფონდმა „სოხუმმა“ გააფორმა მემორანდუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან და შედეგიც მაშინვე დადგა. რამდენიმე თვეშივე დაფინანსდა პირველი პროექტი და დღეს უკვე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, სწორედ ამ პროექტის ფარგლებში არსებობს ახალგაზრდული გენდერული საკონსულტაციო საბჭო და ალტერნატიული საკრებულო.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაშინდელ საკრებულოში გენდერის ცნება ჩვენი საკონსულტაციო საბჭოს მიერ იქნა შემოტანილი. პირველ პერიოდში იყო სკეპტიკური განწყობაც, იუმორიც და უნდობლობაც ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა დღეს უკვე ვითარება შეცვლილია.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქალაქ ოზურგეთი თვითმმართველ ქალაქად გამოცხადდა და გამოეყო ცალკე მუნიციპალიტეტად. შეიქმნა ორი თვითმმართველი ორგანო: ქალაქ ოზურგეთის და ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტები. ორივე მუნიციპალიტეტთან, ასევე გურიის სამხარეო აპარატთან გაფორმებულია მემორანდუმი და ამ მემორანდუმის ფარგლებში აქტიურად ვთანამშრომლობთ.

2015 წელს საბჭოს რეკომენდაციით ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტში დაინიშნა გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში.

2016 წელს ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ვგეგმავთ

თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

საბჭო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე საჭიროებების გამოსავლენად. მიღებული შედეგების მიხედვით შემუშავებულ რეკომენდაციებს აწვდის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მხრიდან მუდმივი მზადყოფნაა თანამშრომლობისთვის.

სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო 8 დასრულებულ და მიმდინარე პროექტს ითვლის. ერთ-ერთი მათგანია „კიბო განაჩენი არ არის". ეს არის ონკო-პაციენტების ფსიქოლოგიური დახმარება და მათი რესოციალიზაციისთვის ხელის შეწყობა. პროექტი ერთხმად დააფინანსა 2015 წელს ორივე მუნიციპალიტეტმა და 2016 წელს ფსიქო რეაბილიტაციას დაემატა სკრინინგ პროგრამაც.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ფონდი „სოხუმის" მხარდაჭერით განხორციელდა რამდენიმე პროექტი: „აქტიური ქალები უკეთესი მომავლისთვის", რაც გულისხმობს ქალბატონების წახალისების მიზნით პასკის ფესტივალის გამართვას და ამ ქალბატონებისთვის არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. პროექტი წარმატებით განხორციელდა 2016 წლის მაისის დასაწყისში. პროექტი „ჩვენ გვაქვს სიცოცხლისა და განათლების უფლება" ითვალისწინებს ნაადრევი ქორწინების პრევენციის მიზნით ფორუმ-თეატრის ჩამოყალიბებას და ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სიტუაციის გათამაშებას და დისკუსიების გამართვას. პროექტის „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან" ფარგლებში მოხდება საბავშვო ბაღების თანამშრომლების გადამზადება ძალადობის პრევენციის კუთხით.

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას აქტიურად აშუქებდნენ ადგილობრივი გაზეთები „ალიონი", „გურია ნიუსი", „გურიის მოამბე", ტელეკომპანია „გურია", გენდერის მედიაცენტრი. ტელესტუდიაში არაერთხელ იყვნენ მიწვეულები საბჭოს წევრები სხვადასხვა  პრობლემაზე სასაუბროდ.

ახლა, როცა უკვე სამი წელია გასული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნიდან, ვხვდები, რომ ეს იყო ყველაზე პროგრესული პროექტი, რომელშიც კი ოდესმე მიმიღია მონაწილეობა. თუ თავიდან იყო სკეპტიციზმი და უნდობლობაც კი, იუმორი და ცინიზმიც ხშირ შემთხვევაში, დღეს მიდგომა რადიკალურად შეცვლილია.

ადამიანები მოდიან ჩვენთან, მოაქვთ თავიანთი პრობლემები, ელოდებიან ჩვენგან მხარდაჭერას და ეს ხშირ შემთხვევაში აქვთ კიდეც, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

ვფიქრობ, რომ ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ მოლოდინები გაამართლა...

# მუნიციპალური ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული მგრძნობიარობის ზოგიერთი ასპექტი

„კარგი ქალები ყოველთვის
კარგ მამაკაცებზე უკეთესნი არიან“
ნაპოლეონ ბონაპარტი

შესავალშივე ორი სიტყვით შევახსენოთ ერთმანეთს - რა არის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი?

ეს ისეთი ბიუჯეტია, რომელშიც გონივრულად და სამართლიანად არის დაბალანსებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოციალურ-სქესობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნები და ინტერესები.

ბიუჯეტის გენდერული ასპექტები უნდა ვეძიოთ მის ადეკვატურობაში, თუ რამდენად ქმნის ის პირობებს **გაეროს** 8 გლობალური მიზნის შესასრულებლად! მოგეხსენებათ, ამ მიზნებიდან 4 უშუალოდ გენდერულია, გენდერულად მგრძნობიარეა!

**პირველია** - უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა (ეს მართლაც, გენდერულად ძალიან მგრძნობიარე პრობლემაა... ვინაიდან, პრობლემის სიმწვავის მეტი წილი ბავშვებზე და ქალზე აისახება);
**მეორე** - გენდერული თანასწორობა, ქალისა და კაცის უფლებების და შესაძლებლობების გათანაბრება;
**მესამე** - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
**მეოთხე** - დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

2015 წელს, ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ და ფონდმა „სოხუმმა“ სცადეს, მოეპოვებინათ ამ მიმართულებებით მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია და პატარა ანალიზიც ჩაატარეს.

ჩვენი ანალიზი პირველ და მეორე მიზანს უფრო შეეხო. ის ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ 2012-2013 და 2014 წლების მონაცემებს. რომ არ დაგღალოთ ჩატარებული გათვლებისა და მიღებული თანაფარდობების, პროცენტების შესახებ ინფორმაციით, მოგაწვდით მხოლოდ საბოლოო დამრგვალებულ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება ადვილად დავიმახსოვროთ და, ვფიქრობ, მათი განვრცობა თამამად შეიძლება სხვა რეგიონებზეც, ქალაქებზე და რაიონებზე.

ავიღეთ ქუთაისის ეკონომიკური სფეროს 2 სექტორი და შევადარეთ:

1. არასაბიუჯეტო სექტორში დაქირავებულ სამსახურებზე მომუშავე ქალების და კაცების ხელფასები;

2. მეწარმე ქალებისა და კაცების შემოსავლები.

შედეგი ასეთია:

- ✓ პირველ სექტორში (არასაბიუჯეტო სექტორში დაქირავებულ სამსახურებზე) **ქალების ხელფასები თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე კაცების;**
- ✓ მეორე სექტორში, სადაც ქალები და კაცებიც ერთნაირ პირობებშია, ეს თანაფარდობა გაცილებით ნაკლები გამოვიდა და **ქალების შემოსავლები მხოლოდ 20%-ით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე კაცების!**

უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე შემოსავლების თანაფარდობას აქვს შემცირების ტენდენცია, ანუ ქალების შემოსავლები უახლოვდება კაცებისას.

გაშუალედებული მონაცემებით, ქალებისა და კაცების შემოსავლების თანაფარდობა მთლიანად საქართველოში 33,0%-ია, ანუ, ქალების შემოსავალი საშუალოდ სამჯერ ნაკლებია, ვიდრე კაცების, მაშინ როცა აზერბაიჯანში მდგომარეობა 2-ჯერ უკეთესია და 66%-ის ტოლია, ხოლო შვედეთში 84%-ს შეადგენს. მოგეხსენებათ, შვედეთი გენდერული თანასწორობის საკითხებში პირველ ადგილზეა ევროპაში და სამაგალითოა მთელს მსოფლიოში!

**რა დასკვნა შეიძლება აქ გააკეთოს თვითმმართველობამ და როგორი აქტივობები (ქმედებები) დაგეგმოს ადგილობრივ ბიუჯეტში?**

- პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოს ქალების ინდივიდუალური მეწარმეობის განვითარებას (აღსანიშნავია, რომ ქუთაისი მოცემულ სექტორში პროცენტულად ახლოსაა შვედეთის დონესთან, მაგრამ მეწარმე ქალთა რაოდენობა ცოტაა);
- ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლში გაითვალისწინოს ქალების აქტიურობის წახალისება და მხარდაჭერა;
- პენსიების გაზრდა (სამართლიანი იქნება, თუ ქალების პენსიები 15-20%-ით მეტი იქნება, ვიდრე კაცების).

**ძალიან მგრძნობიარე თემაა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა,** მათ შორის, მშობიარობის დროს. აქ სამწუხაროდ, ქალაქის მონაცემები ვერ მივიღეთ, მაგრამ გვაქვს ქვეყნის მასშტაბით ზოგადი შედარებითი მონაცემები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მშობიარობისას დედების სიკვდილიანობის მაჩვენებლები 10000 დაბადებულზე ასეთია:

საქართველოში -130
სომხეთში - 66
რუსეთში - 99
ყაზახეთში - 346
შვედეთში - 9

გენდერული თანასწორობა ჯერ კიდევ მეტად აქტუალურია მსოფლიოში, ევროპაში და საქართველოშიც. ის შესულია **გაეროს** ახალ, 2030 წლისთვის დასახულ 17 გლობალურ მიზანში!

როდის იქნება ეს პრობლემა გადაწყვეტილი? არის ასეთი, ალბათ ყველაზე ობიექტური მოსაზრება, რომ „ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი, მათ შორის, გენდერული თანასწორობა მიიღწევა მაშინ, როცა ქალი და კაცი, ყველა ერთნაირად იქნება კანონზე დამოკიდებული.“

**ალუ გამახარია**

# სტუდენტური კონფერენცია

პროექტის „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ფორმირებაში“ ფარგლებში უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტები გენდერულ პრიზმაში - სტუდენტური მიდგომები, პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმები“.

პირველად მოხდა ქუთაისში მოქმედი სამი უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილიზება და მათი დაინტერესება გენდერული საკითხებით. კონფერენციაზე სტუდენტებმა მოხსენებებში გენდერული პრობლემები სხვადასხვა ჭრილში წარმოადგინეს:

„გენდერული კვოტები პოლიტიკაში“ - ნინო ყურუამ თავის გამოსვლაში ქართულ პოლიტიკაში არსებულ გენდერულ დისბალანსზე ისაუბრა. სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით თვალსაჩინოდ წარმოაჩინა პრობლემის მასშტაბურობა და გენდერული კვოტების დანერგვის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი.

ნანუკა კეკუამ სამუშაო ადგილებზე არსებულ გენდერულ დისკრიმინაციზე ისაუბრა. დარბაზის ყურადღება მიიპყრო საკითხზე, რამდენად არის დარღვეული დასაქმების გენდერული პარამეტრები. ისაუბრა ხელოვნურ ბარიერებზე, რომელთაც ქალები აწყდებიან სამუშაო ადგილებზე.

თეონა კინწურაშვილის მოხსენება ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტების განხილვას მიეძღვნა. ხაზგასმით ისაუბრა, რამდენად პრობლემატურია გენდერული ძალადობა ქართულ საზოგადოებაში და პრევენციულ მექანიზმებში კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

„გენდერული სამართლიანობის დამახინჯება ქართულ კანონმდებლობაში“ - ამ მოხსენების ავტორი, ერეკლე ურუშაძე ფიქრობს, რომ საჭიროა საკანონმდებლო ბაზის გენდერული დაბალანსება.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია. გამომსვლელებმა დააფიქსირეს, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტთა დაინტერესება გენდერული საკითხებით.

აქვე გთავაზობთ ნაწყვეტებს სტუდენტების მოხსენებებიდან.

**ნატალია თოდუა**
**პროექტის კოორდინატორი**

# გენდერული კვოტები პოლიტიკაში

**თუ გინდათ მოისმინოთ, როგორ კეთდება დიადი საქმეები, უსმინეთ მამაკაცებს. თუ გინდათ დაინახოთ, როგორ კეთდება დიადი საქმეები, უყურეთ ქალებს!!!**

**მარგარეტ ტეტჩერი**

საქართველოს მოსახლეობის 54%-ს ქალები შეადგენენ, მაგრამ 59 გამგებლიდან მხოლოდ ორია ქალი. ჩვენს ქვეყანაში არც ერთი მერი და არც ერთი გუბერნატორი ქალი არ არის. საქართველოს მთავრობის ოცი წევრიდან მხოლოდ ორია ქალი და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს მასშტაბით საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი 22%, ხოლო ევროპის მასშტაბით 25%-ია. საერთაშორისო საპარლამენტო კავშირის გამოკვლევის მიხედვით, რომელშიც 141 ქვეყანა მონაწილეობდა, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით საქართველო 106-ე ადგილს იკავებს. პარლამენტში ქალები 12%-ით არიან წარმოდგენილნი. 150 დეპუტატიდან მხოლოდ 18 არის ქალი დეპუტატი.

იმისთვის, რომ გაიზარდოს ქალთა პოლიტიკური როლი, აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების განხორციელება.

დღევანდელი რეალობით მხოლოდ არსებობს წამახალისებელი ნორმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონში, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი პარტიები სიების ყოველ ათეულში წარმოადგენენ 30% ქალს, მაშინ ისინი მიიღებენ საბაზისო დაფინანსებაზე დანამატს 30%-ის ოდენობით. 2014 წლის 4 ივნისს სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, წარადგინა კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს სავალდებულო გენდერული კვოტის ადვოკატირებას, რომლის მთავარი მიზანია ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა 2016 წლის მოწვევის პარლამენტში; კერძოდ, პარტიის / საარჩევნო ბლოკის მიერ ცესკოსთვის წარდგენილ პროპორციულ სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის ადამიანი უნდა იყოს. ამის შედეგად პარლამენტში, პროპორციული სიით არჩეული 77 წევრიდან 38 იქნება ქალი. სულ ახლახან პარლამენტსა და საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, პარლამენტს კიდევ ერთი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წარედგინა. დეპუტატებმა მანანა კობახიძემ და გუგული მაღრაძემ მოამზადეს პროექტი, რომლის მიხედვით, პარტია 30%-იან დანამატს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ საარჩევნო სიის ყოველ სამეულში განსხვავებული სქესის ერთი კანდიდატი მაინც ეყოლება წარმოდგენილი.

იერარქიულ, ვერტიკალურ ჭრილში ვხედავთ, რომ გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალების რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე კაცებისა. დემოკრატია ნამდვილად ვერ გადაეცემა ყველა მოქალაქეს, როდესაც მოსახლეობის ნახევარი ჯერ კიდევ არასაკმარისად წარმოდგენილი რჩება პოლიტიკურ ასპარეზზე.

**ნინო ყურუა**

# გენდერული სამართლიანობა ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია... მაშასადამე, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა კონსტიტუციური ნორმაა.

მიუხედავად კანონით განსაზღვრული უფლებამოვალეობებისა, რიგ შემთხვევებში სახეზეა გენდერული დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის ყველაზე თვალნათლივი მაგალითია კანონი „პენსიის შესახებ". დასახელებული კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტით, საპენსიო ასაკი შეადგენს 65 წელს, მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი - საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის მიღების უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლის ასაკიდან. მამაკაცები 5 წლით გვიან იღებენ პენსიის მიღების უფლებას.

გაეროს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის ორგანოებმა გამოიკვლიეს განსხვავებული საპენსიო ასაკის ჯგუფები. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა ქალთა დაბალი საპენსიო ასაკის გამო. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-3 და 26-ე მუხლების საფუძველზე, განსხვავებული საპენსიო ასაკის პრაქტიკა ცალსახად განსაზღვრა როგორც დისკრიმინაციული.

მეორე ნორმატიული აქტი - „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს სამხედრო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. დასახელებული კანონის მე-11 მუხლის I ნაწილის თანახმად, ყველა მოქალაქე ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე. სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება: ბ) ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა. წინამდებარე ნორმა გენდერული ნიშნით მიჯნავს მოქალაქეთა ვალდებულებებს და ქალებს სამხედრო აღრიცხვისაგან ათავისუფლებს, მაშინ როდესაც მამაკაცებზე სამხედრო ვალდებულება ვრცელდება.

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის მეორე ნაწილით, ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა, საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, კანონმდებლის აზრით, ქალებს სამხედრო ვალდებულების მოხდის უნარი არ გააჩნიათ. რამდენად სამართლიანია მსგავსი მიდგომა?

დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე 90-იან წლებში უარი თქვა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა კი – 2000-2008 წლებში. სავალდებულო გაწვევა დღემდე მხოლოდ ერთეულ ნეიტრალურ ქვეყნებში მოქმედებს. როგორ სამხედრო სისტემას აირჩევს საქართველო, ეს საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციასთან.

ქართული რეგულაციები საპენსიო ასაკისა და სამხედრო-სავალდებულო სამსახურის შესახებ წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან. შესაბამისად, წარმოადგენს ხარვეზს და საჭიროებს შემდგომი სამუშაოების ჩატარებას მის გამოსასწორებლად.

**ერეკლე ურუშაძე**

# ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტები

ძალადობა ოჯახში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გავრცელებული სოციალურ პრობლემათაგანია. იგი საფრთხეს უქმნის არა მარტო ოჯახის სიცოცხლისუნარიანობასა და სიჯანსაღეს, არამედ არღვევს საზოგადოების უსაფრთხოებას.

ოჯახში ძალადობის მასშტაბებზე, მის სხვადასხვა ფორმასა და გამოვლინებაზე მწირი მონაცემების მიუხედავად, არსებული ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ ამ პრობლემაზე ყურადღება გამახვილდეს. რადგან ოჯახში ძალადობის შემთხვევები არ არის გამოყოფილი დამოუკიდებელ კატეგორიად და შეადგენს დაფარულ დანაშაულებათა მნიშვნელოვან ნაწილს, ამიტომ ამ პრობლემის მასშტაბების განსაზღვრა გაძნელებულია.

ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვეევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რაც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი ბოლო ოთხი წლის მანძილზე თბილისის შემდეგ აჭარაში ფიქსირდება. სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ეს ციფრები რეალურ სიტუაციას ზუსტად არ ასახავს და ოჯახში ძალადობის შემთხვევა გაცილებით მეტია, რადგან ძალადობის მსხვერპლნი სამართალდამცავებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავენ.

შსს-ს ცნობით, მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები. შესაბამისად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი უფრო მეტად ქალები, განსაკუთრებით 25-დან 44-წლამდე ხდებიან.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შსს აკადემიის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს ოჯახში ძალადობის საგნის სწავლებას საბაზისო კურსით. სამინისტრო სამართალდამცავთა გადამზადების საკითხებში თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მონაწილეობს ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში. ამ თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე და სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის.

ზემოთ მოყვანილი გარემოებების მიუხედავად, საზოგადოებაში მაინც არის აზრი იმის შესახებ, რომ მსგავსი ღონისძიებებით შესაძლებელი იყოს სასურველი შედეგის მიღწევა. საბოლოოდ მაინც საზოგადოების ინფორმირებამდე მივდივართ. ძალადობის არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. რეაგირება კი კომპეტენტური ორგანოების საქმის კურსში ჩაყენებაა, რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელი საზოგადოება არ აკეთებს, იმ მიზეზით, რომ არ ერევა სხვის ცხოვრებაში. რეალურად კი სახელმწიფოს ადგება ზიანი, ვინაიდან საბოლოო ჯამში სახეზეა სტერეოტიპებში მოქცეული საზოგადოება, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს.

**თეო კინწურაშვილი**

# გენდერული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე

თანასწორობის პრინციპის მიხედვით, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს განვითარების ერთნაირი შესაძლებლობა. ერთი მხრივ, ვიცით, რომ საქართველოში ქალები და კაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს რეალურად იმას, რომ ქალებს და კაცებს თანაბრად, ავტომატურად ენიჭებათ შესაძლებლობა, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში.

დასაქმებული ქალები ვერ ახერხებენ თავიანთი უფლებების დაცვას, ქალთა უფლებები არ განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ღირებულება, რაც კაცზე ორიენტირებულ საზოგადოებას ქალთა დისკრიმინაციის საშუალებას აძლევს.

საერთაშორისო უფლებრივი კონვენციების მიხედვით, ეკონომიკური და სოციალური უფლებების მხარდაჭერა და წარმატება ქალთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების ძირითადი იარაღია. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ დიდია სხვაობა მაღალ თანამდებობაზე დასაქმებულ კაცთა და ქალთა პროცენტულ მაჩვენებელს შორის.

ამ სირთულეს, რომელსაც ქალები აწყდებიან მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაწინაურებლად, დიდი ხნის წინ ეწოდა „შუშის ჭერი“ - უხილავი ბარიერის არსებობა, რომელიც წინსვლის შესაძლებლობას არ იძლევა. კაცების შემთხვევაში პირიქით ხდება, ე.წ. „მინიესკალატორს“ ისინი ზემოთ აჰყავს.

გენდერული უთანასწორობა შესამჩნევი ხდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ქალებისა და კაცების ანაზღაურებას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, დღესდღეობით საქართველოში ქალი იღებს 50%-ით ნაკლებ ანაზღაურებას, ვიდრე კაცი ზუსტად იმავე სამუშაოსათვის.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული 2014 წლის აღწერის თანახმად, „საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში“ გვიჩვენებს, რომ 165 გამოკვლეული საჯარო დაწესებულებიდან დასაქმებულია 52679 (70,7%) კაცი და 21 853 ქალი (29.3%), ხოლო იგივე კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულია 7 245 კაცი (78,3%) და 2005 ქალი (21, 7%).

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში ასეთია:




ზემოთ მოცემული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში დასაქმების გენდერული პარამეტრები დარღვეულია და ამ მხრივ უფრო დაუცველ მხარედ გვევლინება ქალი.

ნანუკა კეკუა




ქუთაისის საკრებულოსთან არსებული
გენდერული საკონსულტაციო საბჭო
2016 წელი
ქ.ქუთაისი, რუსთაველის №3

www.fsokhumi.ge
www.gac.fsokhumi.ge